საქართველო
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია
Georgia
Tetritskaro Municipality City Hall

N 587-13
12/02/2021

587-13-2-202102121620
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/

საქართველოს პარლამენტის წევრს
ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

თქვენი, 2021 წლის 26 იანვრის #575/4-1/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელებული თემატური მოკვლევების, „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“, ანგარიშებში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მოხდა ნაწილობრივ, კერძოდ:

1. ადგილობრივ დონეზე, ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით, გარკვეული სირთულეების/გამოწვევების მიუხედავად, ხდება სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების, მუნიციპალური ტრანსპორტის, ბაღების, სკოლებისა და სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საკითხების გადაჭრა.
2. ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკა (კაჭრეთი, ზუგდიდი) არ გამოყენებულა მუნიციპალიტეტში.

საქართველო, თეთრიწყარო 2300, თამარ მეფის ქ. 34, ტელ: (+995 359) 22 23 38
34 Tamar Mephe str. Tetritskaro 2300, Georgia. Tel: (+995 359) 22 23 38
E-MAIL: meria@tetritskaro.gov.ge WEB: www.tetritskaro.gov.ge

3. 2020 წლიდან მუნიციპალიტეტში მოქმედებს პროფესიული განვითარების, განათლების ხელშეწყობის და ადგილობრივი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გარკვეულწილად დაინერგა აკრედიტებულ პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხულ სტუდენტთა სტიპენდიების/წახალისების პრაქტიკა, რაც აძლიერებს, მხარს უჭერს სტუდენტებს, მათ შორის გოგონებსა და ქალებს პროფესიის დაუფლების ეტაპზე.
4. მუნიციპალიტეტში მოქმედი „პროფესიული განვითარების, განათლების ხელშეწყობის და ადგილობრივი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა“ შეღავათებისა და უპირატესობის მხრივ თანაბარ მდგომარეობაში აყენებს უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს.
5. პროფესიული სასწავლო კურსების შეთავაზებისას დუალური პროგრამების დანერგვა (ბიზნესთან თანამშრომლობით), საერთო საცხოვრებლის ქონა და ფიზიკური ხელმისაწვდომობა (ფილიალები) დიდწილად გამოწვევად რჩება მუნიციპალიტეტისთვის.
6. სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი ამ პირთა ინტერესების გათვალისწინებით ახალი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა ასევე დიდწილად გამოწვევად რჩება მუნიციპალიტეტისთვის.
7. მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი. ამასთან, ადგილობრივ დონეზე არ არის უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების ჩართულობა.

8. 2021 წლის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა ითვალისწინებს შშმ ბავშვების მშობელთა ერთჯერად ფულად დახმარებას, 300 ლარის ოდენობით.
9. მუნიციპალური სპორტული დარბაზების და ღია ცის ქვეშ სპორტული კუთხეების (ე.წ. სპორტული დარბაზები ღია ცის ქვეშ) მოწყობის და რეაბილიტაციის სამუშაოები იგეგმება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია.